

ტექნიკური დავალება

„რიცეულა ჰესი“-სა და „რაჭა ჰესი“-ს კომპლექსის რეკონსტრუქციის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებაზე

1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს „რიცეულა ჰესი“-სა და „რაჭა ჰესი“-ს კომპლექსის რეკონსტრუქციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების მოცულობას, შინაარსსა და მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საპროექტო ორგანიზაცია **ООО „ГИДЭПИНВЕСТ“**-ის მიერ მომზადებულ დოკუმენტში **„Эскизный проект реконструкции и технического перевооружения ГЭС „Рача-Рицеула““** მოცემული ტექნიკური გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, მათი დაზუსტებითა და დეტალიზაციით.

2. საპროექტო სამუშაოების მოცულობა

დეტალურმა საპროექტო დოკუმენტაციამ უნდა მოიცვას შემდეგი სარეკონსტრუქციო ღონისძიებები:

2.1. სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია

- მდინარის მარჯვენა ნაპირზე დამატებითი გამრეცხი რაბის მოწყობა, რომლის დანიშნულებაცაა:
 - სათავე ნაგებობის წყალგამტარობის გაზრდა;
 - ზედა ბიეფში დაგროვილი ნატანის ეფექტური გამორეცხვა.
- დეტალური პროექტირების პროცესში უნდა შეფასდეს შემტბორავი კაშხლის ამალლების აუცილებლობა (საორიენტაციოდ 0.5 მ-მდე), წყალმიმღებისა და სალექარის გაზრდილი წყლის ხარჯით მუშაობის უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი მიიღებს წყალაღების ხარჯის გაზრდის გადაწყვეტილებას.

2.2. არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია

საჭიროების შესაბამისად უნდა განხორციელდეს არსებული ნაგებობების შეკეთება ან რეკონსტრუქცია, მათ შორის:

- შემტბორავი კაშხალი;
- არსებული გამრეცხი რაბი;
- წყალსაცემი ჭა;
- წყალმიმღები კვანძი;
- თევზსავალი.

2.3. სადერივაციო ტრაქტის რეკონსტრუქცია

- გვირაბამდე არსებული ორი უდაწნეო მონაკვეთის გაერთიანება ერთ წყალგამტარში.
- წყალგამტარის ტიპი, კონსტრუქცია და ტექნიკური პარამეტრები უნდა განისაზღვროს დეტალური პროექტირების პროცესში ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების საფუძველზე.

2.4. ახალი სალექარის მოწყობა

არსებული ორი არაეფექტური სალექარის ნაცვლად უნდა დაპროექტდეს ახალი ორკამერიანი სალექარი, რომელიც გათვლილი იქნება „რაჭა ჰესი“-სა და „რიცეულა ჰესი“-ს საერთო საანგარიშო წყალაღებაზე.

2.5. ნატანდამჭერი გისოსების გამწმენდი სისტემის მოწყობა

უნდა დაპროექტდეს ნატანდამჭერი გისოსების ავტომატური ან მექანიკური გამწმენდი აგრეგატების სამონტაჟო კონსტრუქციები და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა.

2.6. სადაწნეო აუზის მოწყობა

წყლის სადერივაციო გვირაბიდან გამოსვლის შემდეგ უნდა დაპროექტდეს:

- არსებული სადაწნეო აუზის რეკონსტრუქცია (გაერთიანებული).

რომელიც უზრუნველყოფს ორივე ჰესის („რაჭა ჰესი“ და „რიცეულა ჰესი“) სადაწნეო მილსადენების წყალმომარაგებას.

2.7. რიცეულა ჰესის გამთანაბრებელი რეზერვუარი

დეტალური პროექტირების ფარგლებში უნდა შეფასდეს:

- არსებული გამთანაბრებელი რეზერვუარის შენარჩუნებისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობა;
- გამთანაბრებელი რეზერვუარის ჩანაცვლება სხვა ტექნიკური გადაწყვეტით. (სადაწნეო აუზის რეკონსტრუქციის საფუძველზე)

შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ჰიდრავლიკურ გაანგარიშებებს, მათ შორის ჰიდრავლიკური დარტყმის (Water Hammer) ანალიზს.

3. საპროექტო გადაწყვეტილებების შეთანხმება

ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ცალკეული ტექნიკური გადაწყვეტილებების საბოლოო ვარიანტი უნდა ჩამოყალიბდეს დეტალური პროექტირების პროცესში, დამკვეთთან შეთანხმებით და შესაბამისი საინჟინრო გაანგარიშებების საფუძველზე.

4. დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა

დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

4.1. საინჟინრო გაანგარიშებებს

- ჰიდროლოგიური გაანგარიშებები;
- ჰიდრავლიკური გაანგარიშებები;
- კონსტრუქციული გაანგარიშებები;
- საჭიროების შემთხვევაში — ჰიდრავლიკური დარტყმის (Water Hammer) გაანგარიშებები;
- სხვა აუცილებელი საინჟინრო გაანგარიშებები.

4.2. საპროექტო ნახაზებს

- გენერალურ გეგმებს;
- გეგმებს;

- ჭრილებს;
- კვანძების დეტალურ ნახაზებს;
- არმირების სქემებს;
- არმატურის სპეციფიკაციებს;
- კონსტრუქციულ დეტალებს.

4.3. სამუშაოთა მოცულობები

- თითოეული კვანძის სამუშაოთა უწყისები;
- ობიექტის ჯამური სამუშაოთა მოცულობები (BOQ).

4.4. ხარჯთაღრიცხვა

- სამუშაოების საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრა;
- კონსოლიდირებული ხარჯთაღრიცხვა.

4.5. განმარტებითი ბარათი

რომელშიც ასახული იქნება:

- მიღებული საპროექტო გადაწყვეტილებები;
- გამოყენებული ნორმები და სტანდარტები;
- გაანგარიშებების შედეგები;
- რეკომენდაციები.

5. საინჟინრო კვლევები

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა ეფუძნებოდეს მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მოთხოვნების შესაბამისად შესრულებულ საინჟინრო კვლევებს.

პროექტი უნდა მოიცავდეს:

- ტოპოგეოდეზიურ კვლევას;
- საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას;
- გეოფიზიკური კვლევების მასალები.

თუ დეტალური პროექტირების პროცესში გამოიკვეთება დამატებითი კვლევების აუცილებლობა, აღნიშნულ სამუშაოებს დამოუკიდებლად უზრუნველყოფს დამკვეთი შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

6. საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნები

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს, რათა შესაძლებელი იყოს შესაბამისი ნებართვებისა და შეთანხმებების მიღება და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

7. სამუშაოების ფარგლებს გარეთ დარჩენილი ნაწილი

წინამდებარე ტექნიკური დავალება არ მოიცავს:

- ჰიდროაგრეგატების შეცვლას;
- ტურბინებისა და გენერატორების რეკონსტრუქციას;
- ელექტროტექნიკური ნაწილის რეაბილიტაციას;
- დაცვის, მართვის, ავტომატიზაციისა და SCADA სისტემების რეკონსტრუქციას;
- გამომუშავებული ელექტროენერგიის გატანისა და ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთების სისტემის რეკონსტრუქციას.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავდება ცალკე ტექნიკური დავალების საფუძველზე სპეციალიზებული საპროექტო ორგანიზაციის მიერ.